ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №8083545

ნომერი: AR11159832

თარიღი : 08.09.2026

გაცემის თარიღი : 15.09.2026

გაცნობის თარიღი : 15.09.2026

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ვაჟა-ფშაველა , N 47 , კვარტალი I , კორპუსი 2, არასაცხოვრებელი ფართი N1ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ანა ბაქრაძე პ/ნ 01019037708
- თბილისი გომბორის ქ. N 4ა

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა დემონტაჟი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება, პასუხად გაცნობებთ:
მშენებლობის ერთ–ერთ სახეს წარმოადგენს დემონტაჟი, რაც სამსახურის მიერ შესაძლებელია შეთანხმებული იქნას მხოლოდ კანონიერ შენობა–ნაგებობებთან მიმართებით. უნებართვოდ შენობა–ნაგებობების აშენება კი წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობას, რაც თავის მხრივ სამშენებლო სამართალდარღვევაა. სამშენებლო სამართალდარღვევის კონტროლი ხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციის მიერ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის შესაბამისად. აღნიშნული კოდექსის მიხედვით, უნებართვო შენობა–ნაგებობების დემონტაჟი შესაძლებელია განხორციელდეს ზედამხედველობის ორგანოს მიერ მითითების გაცემით. ვინაიდან სადემონტაჟო სამუშაოები უნებართვოა უნდა მიმართოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს უნებართვო შენობა–ნაგებობების დემონტაჟის განხორციელების წერილობით დადასტურებაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.